# ლოკალურის დუბლი

ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია მონაცემთა ბაზის გაყოფა. მონაცემთა ბაზის გაყოფის შემდეგ ახალ ბაზაში მითითებული თარიღით სისტემა დასვამს სასტარტო ნაშთებს და მიმდინარე მონაცემთა ბაზიდან მითითებული თარიღის შემდეგ შესრულებულ ოპერაციებს გადაიტანს.

ბაზის გასაყოფად შედით:**ფაილი/შევქმნათ ახალი მონაცემთა ბაზა/ ლოკალური ბაზის დუბლი:**




იხილავთ ეკრანს:




ველში „მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად)“ მიუთითეთ მონაცემთა ბაზის სახელი,რომლის დუბლირებაც (გაყოფაც ) გსურთ. ველის გასწვრივ დააწკაპეთ მაუსი  ღილაკზე . იხილავთ ეკრანს :




მოძებნეთ გასადუბლირებელი(გასაყოფი ) მონაცემთა ბაზის დასახელება, მონაცემთა ბაზების სიაში და დაადექით მასზე და დააჭირეთ ღილაკს „OK“.




სისტემა ველში „ახალი მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად )“ ავტომატურად მიუთითებს ახალი მონაცემთა ბაზის სახელს.შეგიძლიათ შეცვალოთ . მაგ: „oriis_2022“ .დააჭირეთ ღილაკს „წინ“. იხილავთ ეკრანს :




მიუთითეთ გასადუბლირებელი (გასაყოფი) მონაცემთა ბაზის მომხმარებელი და თუ პაროლიც აქვს მითითებულ მომხმარებელს პაროლიც მიუთითეთ.




დააჭირეთ ღილაკს „წინ“.



ველში „სასტარტო ბალანსის თარიღი“ მიუთითეთ სასურველი თარიღი.მითითებული თარიღით სისტემა დასვამს სასტარტო ნაშთებს ახალ ბაზაში , ეს თარიღი უნდა უსწრებდეს გატარებების თარიღს.დააჭირეთ ღილაკს „ok“

შეიქმნება ახალი მონაცემთა ბაზა და დაემატება მონაცემთა ბაზების სიას.

**ფაილი\ გავხსნათ არსებული მონაცემთა ბაზა.**




დააჭირეთ ღილაკს , იხილავთ ეკრანს:




დადექით ახალ ბაზაზე და დააჭირეთ ღილაკს „OK“.




ველში „მომხმარებლის სახელი“ ჩამოშალეთ ჩამოშლად სია და მიუთითეთ მომხმარებლის დასახელება.
ველში  „პაროლი“ მიუთითეთ პაროლი, თუ გასაყოფ ბაზას ჰქონდა პაროლი და გაყოფის დროს მიუთითეთ, აქაც აუცილებელია იგივე პაროლის მითითება.მონაცემთა ბაზაში შესვლის შემდეგ შეგიძლიათ შეცვალოთ ძველი პაროლი ახლით.